ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

# ბრძანება №943830

ნომერი: AR1166140

თარიღი : 02.10.2013

გაცემის თარიღი : 11.10.2013

გაცნობის თარიღი : 15.10.2013

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გ. ჭყონდიდელი , N 22 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ჯენერი მესხია პ/ნ 01007007322
- თბილისი გ.სააკაძის ქ. N 105

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

## ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2013 წლის 02 ოქტომბერს #

AR1166140 განცხადებით მომართა შპს „Apollo“–ს დირექტორმა ჯენერი მესხიამ და მოითხოვა სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის თანახმად, სამსახურმა შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებით ქ. თბილისში, სექტორი - ნაძალადევი, გ. ჭყონდიდელის ქუჩა #22-ში, შპს "apollo"-ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.12.12.024.089) შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის კორექტირებული არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომლის მოქმედების ვადა განისაზღვრა 2013 წლის 13 აგვისტოდან 2014 წლის 13 თებერვლის ჩათვლით.

განმცახდებლის განმარტების თანახმად, პროექტის შეთანმხების სტადიაზე არასწორად იქნა მითითებული სართო ფართისა და მასში შემავალი ცალკეული ფართის ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლი, კერძოდ: საერთო ფართობი 997.8 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 959.99 კვ.მ, საცხოვრებელი ფართობი 544.3 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 529.57 კვ.მ–ს, დამხმარე ფართობი 163.0 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 168.27 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობი 79.0 კვ.მ–ს ნაცვლად შეადგენს 50.70 კვ.მ–ს.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდესის 63-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

სამსახურმა შეადარა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია შეთანხმებულ არქიტექტურულ პროექტს და დაადგინა, რომ კორექტირებული ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეესაბამება შეთანხმებულ არქიტექტურულ გეგმა–ნახაზებს.

ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ვინაიდან დამკვეთის მიერ ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების მითითების დროს დაშვებული იქნა შეცდომა, რაც შესაბამისად აისახა სამსახურის მიერ გაცემულ ბრძანებაში, სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია შეიტანოს ცვლილება ზემოაღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში, ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლების განსაზღვრის ნაწილში.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებაში და საერთო ფართობად მიეთითოს – 959.99 კვ.მ, საცხოვრებელ ფართობად – 529.57 კვ.მ, დამხმარე ფართობად –168.27 კვ.მ, ხოლო საზაფხულო ფართობად დაფიქსირდეს – 50.70 კვ.მ;
2. დანარჩენ ნაწილში ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანება დარჩეს უცვლელი;
3. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებას დაემატოს 2013 წლის 02 ოქტომბრის # AR1166140 განცხადებით წარმოდგენილი გეგმა–ნახაზები;
4. წინამდებარე ბრძანება განხილული იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2013 წლის 12 აგვისტოს #842520 ბრძანებასთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. №7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.